სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

„05“ 10 2017

წელი

ეგზ. № 1

ქარელის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის" (პროგრამის კოდი: 03 00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N48/36

2017 წელი

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა 4
შესავალი 7
აუდიტის საგანი და სახეობა 7
აუდიტის მიზანი 7
აუდიტის მასშტაბი 8
აუდიტის ანგარიშის დანიშნულება 8
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 8
აუდიტორის პასუხისმგებლობა 9
აუდიტის ობიექტის აღწერა 9
ძირითადი ტექსტი 12
„წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ 12
საწვავის ხარჯი 12
აღრიცხვის ელექტრონული სისტემა 13
საკონსულტაციო მომსახურება 14
საკრებულოს დეპუტატების ანაზღაურება 15
„ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამა 16
ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის პროცესი 16
სარიტუალო დარბაზების მოწყობა 18
სამანქანე ხიდის მოწყობა 20
წყლის სისტემის მოწყობა 20
აგარის ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია 20
ავტოსადგურის მოწყობა 21
შესყიდვის ორგანიზების პროცესის აღწერა 23
აფიდავიტი 24
მიმწოდებლების შერჩევა 25
მიმწოდებლებთან ანგარიშსწორების პროცესი 26

ფაქტობრივი დანახარჯები 27
პროექტების მოვლა-პატრონობა და ექსპლოატაციის პროცესი 28
სკვერის მოწყობა 28
კულტურის სახლის რეაბილიტაცია 29
ქვემო ხვედურეთის სარიტუალო დარბაზის მოწყობა 30
2016 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები 32
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებითა და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით 32
შენობა-ნაგებობები 32
არაწარმოებული აქტივები 33
წმინდა ღირებულება 33
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ 34
ქარელის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება 35
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი 50
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები 50

შემაჯამებელი მიმოხილვა

- 2015-2016 წლებში ქარელის მუნიციპალიტეტში 7.4 ტონა ბენზინი და 8.5 ტონა დიზელი გაიცა განსაზღვრული ლიმიტის გარეშე, გამგეობის მოსამსახურეთა მოხსენებითი ბარათების საფუძველზე. გამოვლინდა, რომ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათებში არ არის მითითებული თუ რა ღონისძიებებისათვის იყო საჭირო 2.2 ტონა ბენზინისა და 2.1 ტონა დიზელის გაცემა.
- 2015 წელს ქარელის მუნიციპალიტეტმა აღრიცხვის ელექტრონული ტაბელის მოწყობაზე დახარჯა 11.0 ათასი ლარი. აღრიცხვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების მიზანია მოსამსახურეთა შემოსვლა-გასვლის კონტროლი, ასევე მოსახლეობის უკონტროლო მიმოსვლის დარეგულირება. მიუხედავად იმისა, რომ შესყიდული იქნა 300 ცალი ბარათი, მოსამსახურეთა ყოველდღიური შემოსვლა-გასვლის კონტროლისათვის ბარათები არ გამოყენებულა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სისტემა მოეწყო არა მოსამსახურეთა ყოველდღიური აღრიცხვისათვის, არამედ მოსახლეობის უკონტროლო შემოსვლების მოწესრიგების მიზნით, თუმცა 2017 წლის მაისიდან არც მოსახლეობის უკონტროლო შემოსვლის დასარეგულირებლად გამოყენებულა.
- 2015-2016 წლებში ქარელის მუნიციპალიტეტის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოწყობილი 21 ერთეული სარიტუალო დარბაზი დაუსრულებელია და არ ფუნქციონირებს. მიუხედავად იმისა, რომ 21 ერთეული სარიტუალო დარბაზის მშენებლობაზე მუნიციპალიტეტმა დახარჯა 662.6 ათასი ლარი, აღნიშნული ობიექტებით მოსახლეობა ვერ სარგებლობს.
- 2016 წელს მუნიციპალიტეტის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, სოფელ ყინწვისში მოეწყო სამანქანე ხიდი, რომლის ხარჯმა შეადგინა 7.3 ათასი ლარი. გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. შედეგად გამოვლინდა, რომ ხიდი უფუნქციოა და მოსახლეობა სატრანსპორტო საშუალებების გადასაადგილებლად ვერ იყენებს. აღნიშნულის მიზეზი არის ის გარემოება, რომ ხიდი ერთი მხრიდან დაკავშირებულია საფეხმავლო ბილიკთან, რის გამოც მასზე ავტომანქანების მოძრაობა ვერ ხერხდება.
- 2015 წელს მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტით 16.4 ათასი ლარით დაფინანსდა დაბა აგარაში ბიბლიოთეკის ძველი შენობის რეაბილიტაცია. აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა აღნიშნული ობიექტი. გამოვლინდა რომ პროექტი დაუსრულებელია. 2016 წელს პროექტის დასასრულებლად თანხა არ გამოყოფილა და არც 2017 წელს დაგეგმილა მისი რეაბილიტაცია.
- 2016 წელს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი ქუჩების ასფალტირების შესყიდვაზე. ტენდერში ვაჭრობის შედეგად შპს „ნიუ ქასთელ ქონსთრაქშენმა“ 392.0 ათასი ლარის, ხოლო შპს „ქროსფოინტმა“ 427.0 ათასი ლარის სატენდერო ფასი დააფიქსირა. დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა არ დააზუსტა ტექნიკური დოკუმენტაცია და იგი დისკვალიფიცირებული იქნა. შემდეგი პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისას, შპს „ქროსფოინტმა“, თავისუფალი

ფინანსური რესურსის დამადასტურებელ დოკუმენტად წარმოადგინა სს „ტერაბანკში“ გახსნილი ერთი მლნ აშშ დოლარის საკრედიტო ხაზი, თანამსესხებელთან - შპს „ნიუ ქასთელ ქონსთრაქშენთან“ ერთად. შედეგად, არსებობს რისკი იმისა, რომ პრეტენდენტებმა დაარღვიეს საქართველოს შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრული აფიდავიტის მოთხოვნები. კერძოდ, კონკურენტებს ეკრძალებათ კომუნიკაცია, შეთანხმება, ან მოლაპარაკება სატენდერო წინადადების ფასისა და წინადადების წარდგენის, ან წარდგენისაგან თავის შეკავების, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობების დეტალების შესახებ. შპს „ნიუ ქასთელ ქონსთრაქშენი“ და შპს „ქროსფოინტი“ მეტი ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, სავარაუდოდ მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით.

- 2015 წელს ქარელის მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, რამდენიმე შემთხვევაში, ხელშეკრულება გააფორმა ისეთ მიმწოდებლებთან, რომელთაც არ ჰქონდათ სათანადო სამუშაო გამოცდილება. კერძოდ, გამგეობამ სამუშაოების შესრულებაზე ხელშეკრულებები გაუფორმა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რამდენიმე დღის წინ დარეგისტრირებულ 2 მეწარმე სუბიექტს. ამ მეწარმე სუბიექტებზე 2015-2016 წლებში გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ 711.8 ათასი ლარი შეადგინა.
- 2015-2016 წლებში ქარელის მუნიციპალიტეტს გამარტივებული გზით შესყიდული აქვს 1 358.5 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები, რაზეც გაფორმებულია 36 ხელშეკრულება. მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა მიმწოდებლებისაგან მოთხოვნილი ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ანგარიშსწორება ხორციელდებოდა შესრულებული სამუშაოების აქტების მიხედვით, რითაც დარღვეულია კანონმდებლობის მოთხოვნები.
- 2015 წელს მუნიციპალიტეტმა სკვერში აუზის მოწყობაზე, ადგილობრივი ბიუჯეტით დახარჯა 14.3 ათასი ლარი. პროექტი მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა 2015 წლის 21 დეკემბერს. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა სკვერი. გამოვლინდა, რომ აუზი არის დაზიანებული, კერძოდ, აყრილია აუზის ზედაპირზე მოწყობილი მოზაიკა. ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა მიმართული მიმწოდებლისათვის. აუდიტის ჯგუფის მიერ გამოვლენილი გარემოების შემდგომ, 2017 წლის 6 ივლისს, ხარვეზების გამოსასწორებლად, მუნიციპალიტეტმა წერილობით მიმართა მიმწოდებელს.
- რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხით, კულტურის სახლის რეაბილიტაციაზე, 2015 წელს მუნიციპალიტეტმა დახარჯა 615.0 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფის დათვალიერებით გამოვლინდა, რომ აივანზე მეტლახი აყრილია, რამდენიმე ადგილზე სახურავიდან და აივნიდან წყალი ჩამოვიდა, რის გამოც დაზიანდა ჭერი და კედლები. ასევე, საპირფარეშოში კაფელი დაზიანებულია და სხვა. მუნიციპალიტეტმა რამდენიმეჯერ მიმართა მიმწოდებელს დაზიანებების აღმოსაფხვრელად. მიმწოდებელმა ჩაატარა სარემონტო სამუშაოები. საგარანტიო ვადის გასვლის შემდგომ ობიექტზე დაზიანებული ადგილები კვლავ წარმოიშვა.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია 1: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, გონივრულობის პრინციპის გათვალისწინებით, შეიმუშაოს წესი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის შესახებ. აღნიშნული წესით, რომელიც დაფუძნებული იქნება საუკეთესო პრაქტიკაზე, უნდა დარეგულირდეს, სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა, მათზე საწვავის გაცემის ლიმიტები, სარემონტო და სხვა მოვლა-შენახვის ხარჯები. ამასთანავე, მიზანშეწონილია შემუშავებული წესი თავსებადი იყოს მთავრობის დადგენილებასთან.

რეკომენდაცია 2: საჭიროა მუნიციპალიტეტმა აღადგინოს აღრიცხვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირება, რითაც მოწესრიგდება მოსამსახურეთა შემოსვლა-გასვლა, დარეგულირდება თანამშრომელთა მივლინების, შვებულებისა და სხვა საპატიო მიზეზით სამსახურში არყოფნასთან დაკავშირებული საკითხები. აღრიცხვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, გამგეობამ უზრუნველყოს შესაბამისი ტაბელის წარმოება, რის საფუძველზე მოხდება მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს ან წახალისების გაცემა. აღნიშნული სისტემა ასევე დაარეგულირებს ადმინისტრაციულ შენობაში მოსახლეობის უკონტროლო შემოსვლას.

რეკომენდაცია 3: ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აღწეროს დაუსრულებელი და უფუნქციო შენობები (მათ შორის ე.წ. სარიტუალო დარბაზები). შეისწავლოს მათი შემდგომი ექსპლოატაციის საკითხი და საჭიროების მიხედვით განსაზღვროს შენობა-ნაგებობების გამოყენების მიმართულებები. აღნიშნული უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი მატერიალური სიკეთის მოსახლეობისთვის დროულ და ხარისხიან მიწოდებას.

რეკომენდაცია 4: მუნიციპალიტეტის გამგეობამ ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს, გამგეობამ უნდა შეისწავლოს მის ხელთ არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსები. აქედან გამომდინარე განსაზღვროს, თუ რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს თავიდან აიცილოს ისეთი პროექტების განხორციელება, რომლითაც მოსახლეობა ვერ სარგებლობს.

რეკომენდაცია 5: მუნიციპალიტეტის საკრებულომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს, გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, თვითმმართველმა ერთეულმა გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

რეკომენდაცია 6: მუნიციპალიტეტის გამგეობამ დანერგოს კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოების ჩაბარებას ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული ხარისხის შესაბამისად; რეგულარულად განახორციელოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში გაატაროს სათანადო ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდებას ხარვეზების გარეშე.

შესავალი

აუდიტის საგანი და სახეობა

ქარელის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03 00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მიზანი

ა) დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა განზრახ ან უნებლიე შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, რაც აუდიტორს შესაძლებლობას მისცემს, გამოთქვას მოსაზრება აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების სისწორეზე - შედგენილია თუ არა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად;

ბ) აუდიტის საგნის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (შემდგომში - კრიტერიუმი) შესაბამისობის შესახებ დასკვნების გაკეთება, რეკომენდაციების შემუშავება და აუდიტის ანგარიშის გაცემა.

აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება:

- მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობა - ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის, საქმიანობის წარმართვის, საჯარო რესურსების გამოყენების და საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაუცველობა.
- საქმიანობის არაეფექტიანობა - აუდიტის ობიექტის მიერ ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის პრინციპების დაუცველობა.
- შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის სისუსტეები ან/და ნაკლოვანებები.

- ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასანერგად.

აუდიტის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, ანგარიში ვერ უზრუნველყოფს აბსოლუტურ რწმუნებას აუდიტის საგნის კრიტერიუმ(ებ)თან სრული შესაბამისობის შესახებ. ამასთანავე, აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა პროფესიული განსჯის საფუძველზე, ხარისხობრივი და რაოდენობრივი შერჩევის პრინციპებზე დაყრდნობით და შესაძლებელია არ მოიცვას აუდიტის საგნის ყველა ელემენტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ქარელის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების, 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის" პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. ქარელის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა ჯამში 20 275.4 ათასი ლარი.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით იქნა გამოვლენილი განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების, 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის" პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის ვალდებულება ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება და ობიექტის მიერ 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტორული პროცედურები ჩატარდა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

აუდიტის ობიექტის აღწერა

ქარელის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 18 ადმინისტრაციულ ერთეულს, მათ შორის, 1 ქალაქს, 1 დაბასა და 16 სოფელს[1]. ქარელის მუნიციპალიტეტის ფართობია 687.9 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 51.6 ათასს კაცს[2]. ადმინისტრაციული ცენტრია - ქალაქი ქარელი. ქარელის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიხედვით.

ქარელის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებზე დაყრდნობით, გადასახდელები განისაზღვრა 30 306.2 ათასი ლარით. აქედან, „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამაზე გაწეულმა ხარჯმა გადასახდელების 16%, ხოლო „ინფრასტრუქტურის მშენებლობა,

[1] http://mreg.reestri.gov.ge/

[2] http://www.geostat.ge/

რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამაზე გაწეულმა ხარჯმა გადასახდელების 51% შეადგინა. აღნიშნულ პროგრამებზე ჯამში დახარჯულია 20 275.3 ათასი ლარი[3].

„წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა[4].

2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში, ქარელის მუნიციპალიტეტმა გასწია 4 945.4 ათასი ლარის ხარჯი. მათ შორის 2015 წელს 2 728.3 ათასი, ხოლო 2016 წელს 2 217.1 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის უზრუნველყოფის ხარჯები 1 090.8 ათასი და გამგეობის საქმიანობის უზრუნველყოფის ხარჯები - 3 854.6 ათასი ლარი. პროგრამის გადასახდელების მაჩვენებლები მოცემულია ცხრილ №1-ში.

ცხრილი 1. 2015-2016 წლებში 01 00 პროგრამაზე გაწეული გადასახდელები (ათასი ლარი)

	2015 წელი	*2016 წელი*	*ჯამი*
ხარჯები	2119.7	2196.9	4316.6
შრომის ანაზღაურება	1579	1715	3294
საქონელი და მომსახურება	420.7	352.2	772.9
სოციალური უზრუნველყოფა	5.3	6.6	11.9
სხვა ხარჯები	114.7	123.1	237.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	608.6	15.7	624.3
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0
ვალდებულებების კლება	0	4.5	4.5
ჯამი	**2728.3**	**2217.1**	**4945.4**

„ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის" პროგრამა.

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების მიხედვით, 2015-2016 წლებში „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამაზე მუნიციპალიტეტმა დახარჯა 15 329.9 ათასი ლარი. მათ შორის 2015 წელს 7 710.3 ათასი, ხოლო 2016 წელს 7 619.6 ათასი ლარი. პროგრამის გადასახდელების მაჩვენებლები მოცემულია №1 დიაგრამაზე.

[3] „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა - 4 945.4 ათასი ლარი, „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის" პროგრამა - 15 329.9 ათასი ლარი

[4] აღსანიშნავია, რომ „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა არ მოიცავს სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯებს. აღნიშნული სამსახურის ხარჯმა 2015-2016 წლებში 242.6 ათასი ლარი შეადგინა. ეს ხარჯები ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელიც სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებულია და ცალკე პროგრამული კოდით არის ბიუჯეტში წარმოდგენილი - „ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პრ. კოდი 02 02). შედეგად აუდიტის მასშტაბში არ შედის.

დიაგრამა 1. პროგრამის გადასახდელები 2015-2016 წწ (ათასი ლარი)



2015-2016 წლებში ქარელის მუნიციპალიტეტის მიერ „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში გაფორმებულმა ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ 13 463.4 ათასი ლარი შეადგინა. მონაცემები წარმოდგენილია ცხრილის №2 სახით.

ცხრილი №2: 2015-2016 წლებში 0100 და 0300 პროგრამების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვები

შესყიდვის საშუალება	2015 წელი		2016 წელი		ჯამი	
	რაოდენობა	სახელშ. ღირებულება (ათასი ლარი)	რაოდენობა	სახელშ. ღირებულება (ათასი ლარი)	რაოდენობა	სახელშ. ღირებულება (ათასი ლარი)
გამარტივებული შესყიდვა	127	1 626 274.19	106	256 033.31	233	1 882 307.5
გამარტივებული ელ. ტენდერი	21	3 226 893.3	27	1 105 948.2	48	4 332 841.5
ელექტრონული ტენდერი	17	2 654 397.7	11	4 563 749.8	28	7 218 147.5
კონსოლიდირებული ტენდერი	5	17 130.97	6	12 931.56	11	30 062.53
სულ	**170**	**7 524 696.16**	**150**	**5 938 662.87**	**320**	**13 463 359.03**

ძირითადი ტექსტი

„წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“

2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში, ქარელის მუნიციპალიტეტმა დახარჯა 4945.4 ათასი ლარი.

საწვავის ხარჯი

კრიტერიუმი: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის[5] მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოები და თანამდებობის პირები თავიანთი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოსცემენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. სამართლებრივი აქტის სახეებია: ნორმატიული აქტი და ინდივიდუალური აქტი. მუნიციპალიტეტში ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დადგენილების სახით გამოცემის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ საკრებულოს, რომელიც არის კოლეგიური ორგანო და გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა შეუძლია საკრებულოს - განკარგულების, ხოლო მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს, ბრძანების სახით. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით[6], ნორმატიული აქტი უნდა შეიცავდეს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ზოგად წესს, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ერთჯერადი გამოყენების და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური აქტის სახით მიღება (გამოცემა).

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საწვავის ხარჯმა შეადგინა 132.0 ათასი ლარი, მათ შორის 2015 წელს 74.2 ათასი ლარი, 2016 წელს 57.8 ათასი ლარი. სააუდიტე პერიოდში მუნიციპალიტეტმა დახარჯა 46.1 ტონა ბენზინი და 28.5 ტონა დიზელი.

2015-2016 წლებში ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო საავტომობილო საწვავის გამოყოფის საფუძველია საკრებულოს განკარგულება. აღნიშნული განკარგულება მოქმედი კანონმდებლობით[7] წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. საკრებულოს განკარგულება ადგენს საწვავის ლიმიტის გაცემის მუდმივ და მრავალჯერადი გამოყენების წესს. კანონმდებლობის მიხედვით, დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური აქტის სახით მიღება. ამდენად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტი უნდა გამოეცა დადგენილების სახით.

---

[5] მუხლი 61, პუნქტი 2 და პუნქტი 3.

[6] საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლი 2.

[7] საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

აღსანიშნავია, რომ 2015-2016 წლებში ქარელის მუნიციპალიტეტში 7.4 ტონა ბენზინი და 8.5 ტონა დიზელი გაიცა განსაზღვრული ლიმიტის გარეშე, გამგეობის მოსამსახურეთა მოხსენებითი ბარათების საფუძველზე. გამოვლინდა, რომ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათებში არ არის მითითებული თუ რა ღონისძიებებისათვის იყო საჭირო 2.2 ტონა ბენზინისა და 2.1 ტონა დიზელის გაცემა.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, გონივრულობის პრინციპის გათვალისწინებით, შეიმუშაოს წესი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის შესახებ. აღნიშნული წესით, რომელიც დაფუძნებული იქნება საუკეთესო პრაქტიკაზე, უნდა დარეგულირდეს, სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა, მათზე საწვავის გაცემის ლიმიტები, სარემონტო და სხვა მოვლა-შენახვის ხარჯები. ამასთანავე, მიზანშეწონილია შემუშავებული წესი თავსებადი იყოს მთავრობის დადგენილებასთან.

აღრიცხვის ელექტრონული სისტემა

კრიტერიუმი: არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, აღრიცხვის ელექტრონული სისტემა აწესრიგებს საჯარო სამსახურში მოსამსახურეთა შემოსვლა-გასვლას. რეგულირდება თანამშრომელთა მივლინების, შვებულებისა და სხვა საპატიო მიზეზით სამსახურში არყოფნასთან დაკავშირებული საკითხები. შესაბამისი ტაბელის საფუძველზე ხდება მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს ან წახალისების გაცემა. აღრიცხვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ასევე რეგულირდება ადმინისტრაციულ შენობაში მოსახლეობის უკონტროლო შემოსვლა.

გამოვლენილი გარემოება: 2015 წლის 3 დეკემბერს ქარელის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა შპს „ლოჯიქალ სისტემზ კომპანის“, საკრებულოსა და გამგეობის შენობისათვის სათვალთვალო და დაცვის სისტემების აპარატურის შესყიდვაზე, ღირებულებით 15.0 ათასი ლარი.

2015 წლის 29 დეკემბერს აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მუნიციპალიტეტმა შეისყიდა აღრიცხვის ელექტრონული ტაბელი - 4.8 ათასი ლარი, 300 ცალი ბარათი - 1.2 ათასი ლარი, ტურნიკეტი - 3.8 ათასი ლარი, ფიზიკური სერვერი - 1.2 ათასი ლარი, IP კამერა - 4.0 ათასი ლარი.

აღრიცხვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების მიზანია მოსამსახურეთა შემოსვლა-გასვლის კონტროლი, ასევე მოსახლეობის უკონტროლო მიმოსვლის დარეგულირება. მიუხედავად იმისა, რომ შესყიდული იქნა 300 ცალი ბარათი, მოსამსახურეთა ყოველდღიური შემოსვლა-გასვლის კონტროლისათვის ბარათები არ გამოყენებულა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სისტემა მოეწყო არა მოსამსახურეთა ყოველდღიური აღრიცხვისათვის, არამედ მოსახლეობის უკონტროლო შემოსვლების მოწესრიგების მიზნით, თუმცა 2017 წლის მაისიდან არც მოსახლეობის უკონტროლო შემოსვლის დასარეგულირებლად გამოყენებულა.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა აღრიცხვის ელექტრონული სისტემის მოწყობაზე დახარჯა 15.0 ათასი ლარი, სისტემა სრულად არ ფუნქციონირებდა და ვერ პასუხობდა იმ მიზანს, რისთვისაც უნდა გამოყენებულიყო.

რეკომენდაცია: საჭიროა მუნიციპალიტეტმა აღადგინოს აღრიცხვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირება, რითაც მოწესრიგდება მოსამსახურეთა შემოსვლა-გასვლა, დარეგულირდება თანამშრომელთა მივლინების, შვებულებისა და სხვა საპატიო მიზეზით სამსახურში არყოფნასთან დაკავშირებული საკითხები. აღრიცხვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, გამგეობამ უზრუნველყოს შესაბამისი ტაბელის წარმოება, რის საფუძველზე მოხდება მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს ან წახალისების გაცემა. აღნიშნული სისტემა ასევე დაარეგულირებს ადმინისტრაციულ შენობაში მოსახლეობის უკონტროლო შემოსვლას.

საკონსულტაციო მომსახურება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად. საკანონმდებლო სიახლეები ხელმისაწვდომია ყველა თვითმმართველი ერთეულისათვის. ქარელის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში დასაქმებული ყველა მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობანი, რომელიც განსაზღვრულია კანონით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

გამოვლენილი გარემოება: 2016 წელს შპს „დაუ+“-გან მუნიციპალიტეტი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ახორციელებდა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვას. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, შპს „დაუ+“-ს ევალებოდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგების, 2016-2019 წლების ბიუჯეტების პროექტების შედგენის, განხილვის, მიღების, ცვლილების შეტანის, შესრულების, ანგარიშგების, გარე და შიდა აუდიტის ჩატარების თაობაზე ახალი ნორმატიული აქტების, მათში შეტანილი ცვლილებებისა და სხვა მასალების მიწოდება. გარდა ამისა, საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის შესახებ, კონსულტაციის მომზადება და მიწოდება.

2016 წელს მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლისთვის ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 4.8 ათასი ლარი. გამომდინარე იქიდან, რომ მუნიციპალიტეტის თანამშრომლები ვალდებული არიან გააჩნდეთ კანონმდებლობის სათანადო ცოდნა და შეეძლოთ მათი საქმიანობაში გამოყენება, მიზანშეწონილი არ არის ანალოგიურ საკითხებზე კონსულტანტის მომსახურების შესყიდვა და ხარჯის გაწევა.

საკრებულოს დეპუტატების ანაზღაურება

კრიტერიუმი: კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობა[8]. კანონმდებლობა ითვალისწინებს საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას. მუნიციპალიტეტი ანაზღაურებს საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობისათვის, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს. გამგეობის მიერ აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელშიც აღინიშნება დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები[9].

გამოვლენილი გარემოება: ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე, გარდა თანამდებობის პირებისა, დამტკიცებულია უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი[10]. დადგენილი წესის მიხედვით, საკრებულოს კომისიებში, სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩევლებთან შეხვედრისათვის, საკრებულოს წევრებს ყოველთვიურად განესაზღვრათ ზღვრული ოდენობა 2015 წლის სექტემბრამდე - 500, ხოლო 2015 წლის სექტემბრიდან - 397.5 ლარით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ანაზღაურების სახით სააუდიტე პერიოდში დახარჯული თანხა სულ შეადგენს 206.5 ათას ლარს, მათ შორის, 2015 წელს - 106.8 ათასი ლარი, 2016 წელს - 99.7ათასი ლარი.

წარმოდგენილი ინფორმაციით, ხარჯის ანაზღაურება ხორციელდებოდა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით. საკრებულოს სხდომებსა და მის საქმიანობაში მიღებული მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტაცია არ შეიცავს მონაცემებს კონკრეტულად გაწეული დანახარჯების შესახებ და არ არის საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება ხარჯის დასადასტურებლად.

---

[8] „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მუხლი 41, პუნქტი 1.

[9] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

[10] ქარელის საკრებულოს №38 დადგენილება, 2014 წლის 1 აგვისტო

„ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამა

2015-2016 წლებში ქარელის მუნიციპალიტეტის მიერ „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამის ფარგლებში დაიხარჯა 15 330.0 ათასი ლარი.

ცხრილი №3: 03 00 -ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

		2015	2016	სულ
	ქვეპროგრამები	**7710.4**	**7619.6**	**15330.0**
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა	3466.9	4177.8	7644.7
03 02 01	გარე განათება	195.2	258.9	454.1
03 02 02	დასუფთავება	512.0	692.6	1204.6
03 02 03	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია	442.2	0	442.2
03 02 04	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	411.7	831.2	1242.9
03 02 06	საკადასტრო რუკების მომზადება	6.0	5.3	11.3
03 02 07	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრების რეაბილიტაცია	351.4	82.5	433.9
03 02 08	ბინათმშენებლობა	0	65.18	65.18
03 02 09	სპეციალური ტექნიკის შეძენა	322.5	204.12	526.62
03 03 01	გამწვანება	51.3	54.0	105.3
03 03 02	ქუჩების, შენობების, ეზოებისა და სკვერების კეთილმოწყობა	908.4	163.6	1072.0
03 03 03	ეკლესიების და სასაფლაოების შემოღობვა	0	20.5	20.5
03 04	სოფ. მხარდაჭერის პროგრამა	1035.2	1063.4	2098.6

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის პროცესი

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას გრძელვადიან სარგებელზე გათვლილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება წარმოადგენს, რაც ადგილობრივი რესურსების ეფექტური გამოყენებისა და მოსახლეობისთვის შესაფერისი გარემოს შექმნას უწყობს ხელს. ქარელის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების წყაროა, საკუთარი ბიუჯეტი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი ფინანსური რესურსი. დაფინანსების წყაროს მიხედვით განსხვავებულია პროექტების დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

1. ადგილობრივი ბიუჯეტიდან განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვა ხდება შემდეგნაირად: გამგებელი, გამგებლის მოადგილეები და ეკონომიკური განვითარების სამსახურის წარმომადგენლები, ტერიტორიულ ორგანოში გამგებლის წარმომადგენლებთან ერთად ახდენენ სოფლებში მოსახლეობასთან შეხვედრას. ხდება შეხვედრაზე დაყენებული პრობლემური საკითხების თავმოყრა და მათი პრიორიტეტების მიხედვით დაყოფა.

გაანალიზების შემდეგ, ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით, აისახება ბიუჯეტის პროექტში; ბიუჯეტის პროექტის დასამტკიცებლად საკრებულოში წარდგენამდე, აღნიშნულ ინფორმაციას გამგებელი უგზავნის ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებულ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს.

2. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა და დაგეგმვა იწყება მოსახლეობასთან შეხვედრების საფუძველზე. ხდება პროექტების პრიორიტეტებად დალაგება და საკრებულოში წარდგენა მოწონების მიზნით. საკრებულოს მოწონების შემდგომ, შერჩეული საპროექტო წინადადებები, შესაბამისი დანართებით წარედგინება გუბერნიაში საკონსულტაციო საბჭოს და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. საქართველოს მთავრობა განკარგულებით მუნიციპალიტეტზე გამოყოფს თანხას, რის შესაბამისად განსახორციელებელი პროექტი აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ განსახორციელებელი კონკრეტული პროექტის დაგეგმვა ხდება მოსახლეობასთან შეხვედრების და ჩატარებული კრებების საფუძველზე. პროექტის შერჩევაში ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილებას იღებს მოსახლეობა.

შერჩეული პროექტები აისახება ბიუჯეტში და განისაზღვრება შესყიდვების წლიური გეგმით. ისეთ შემთხვევაში, თუ საჭიროა პროექტის განხორციელება, რომლის დასაფინანსებლადაც საკმარისი არ არის მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა, მუნიციპალიტეტი სამუშაოების დასრულებას გეგმავს თანადაფინანსებით, ან მომდევნო წლის ბიუჯეტით. დაგეგმვის ამ ეტაპზე კონტროლის მექანიზმი არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს პროექტის დასრულების ხელისშემშლელი გარემოებების გამოვლენას (არასაკმარისი ფინანსური რესურსის ან სხვა გარემოება), რაც წარმოშობს დაუსრულებელი და გამოუყენებლი პროექტების არსებობის რისკს.

კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზანს მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილება და სარგებლის მიღება წარმოადგენს. შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა დააფინანსოს ისეთი პროექტები, რომელიც დააკმაყოფილებს მოსახლეობის საჭიროებას და თვითმმართველი ერთეულის გრძელვადიანი განვითარების პირობებს შექმნის. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს საჭირო ფინანსური რესურსების რაოდენობა და შესაბამისად განსაზღვროს მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. წარმატებით განხორციელებული პროექტის შედეგად მოსახლეობა დროულად და ხარისხიანად მიიღებს შექმნილ მატერიალურ სიკეთეს.

სარიტუალო დარბაზების მოწყობა

გამოვლენილი გარემოება 1: 2015-2016 წლებში ქარელის მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში სარიტუალო დარბაზების მოწყობაზე დახარჯა 879.1 ათასი ლარი. 2015 წელს 34 სოფელში მოხდა სარიტუალო დარბაზის მშენებლობა, რაზეც დაიხარჯა 520.7 ათასი ლარი. 2016 წელს აღნიშნული პროექტების მშენებლობები გაგრძელდა 21 სოფელში, რომლის ხარჯმა 358.4 ათასი ლარი შეადგინა.

გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. გამოვლინდა, რომ მოწყობილი სარიტუალო დარბაზებიდან 21 ერთეული დაუსრულებელია და არ ფუნქციონირებს. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, სარიტუალო დარბაზებში არ არის მოწყობილი სამზარეულო, წყლისა და ელ-გაყვანილობის სისტემები, არ არის შეტანილი საჭირო ინვენტარი. ზოგ შემთხვევაში კარ-ფანჯრები, იატაკი და ჭერი არაა მოწყობილი, კედლები გაულესავია და სხვა.

ცხრილი 4: სარიტუალო დარბაზები, რომლითაც მოსახლეობა ვერ სარგებლობს

№	სოფელი	პროექტის ღირებულება	მიზეზი, თუ რატომ ვერ სარგებლობს მოსახლეობა
1	ბრეთი	25 702	არ არის შეტანილი ინვენტარი: მაგიდა, სკამები, ჭურჭელი
2	არადეთი	27 848	არ არის შეტანილი ინვენტარი: მაგიდა, სკამები, ჭურჭელი
3	წვერი	18 556	არ არის შეტანილი ინვენტარი: მაგიდა, სკამები, ჭურჭელი
4	ზღუდერი	60 223	მოუწყობელია სამზარეულო, არ არის შეტანილი ინვენტარი: მაგიდა, სკამები, ჭურჭელი
5	მოხისი	78 101.6	არ არის შეტანილი ინვენტარი: მაგიდა, სკამები, ჭურჭელი
6	კოდა ვარდისუბანი	8 455	მოუწყობელია წყლის სისტემა და სამზარეულო, ასევე არ არის შეტანილი ინვენტარი: მაგიდა, სკამები, ჭურჭელი
7	ქვემო ხვედურეთი	24 868	მოუწყობელია წყლის სისტემა, ელ-გაყვანილობა, იატაკი, სამზარეულო, ასევე არ არის შეტანილი ინვენტარი: მაგიდა, სკამები, ჭურჭელი
8	ღვლევი	7 979	მოწყობილია მხოლოდ საძირკველი
9	ქვენაფლავი	21 862.1	მოუწყობელია წყლის სისტემა, ელ-გაყვანილობა, იატაკი, სამზარეულო, ასევე არ არის შეტანილი ინვენტარი: მაგიდა, სკამები, ჭურჭელი
10	ქვ. შაქშაქეთი	16 276.3	მოუწყობელია კარ-ფანჯრები, წყლის სისტემა, ელ-გაყვანილობა, იატაკი, სამზარეულო, ასევე არ არის შეტანილი ინვენტარი: მაგიდა, სკამები, ჭურჭელი
11	ღოღეთი	21 207.8	მოუწყობელია წყლის სისტემა, ელ-გაყვანილობა, იატაკი, სამზარეულო, ასევე არ არის შეტანილი ინვენტარი: მაგიდა, სკამები, ჭურჭელი
12	რუისი	128 944.3	მოუწყობელია ელ-გაყვანილობა, სამზარეულო, ასევე არ არის შეტანილი ინვენტარი: მაგიდა, სკამები, ჭურჭელი
13	ჭვრინისი	12 956.1	გასალესია კედლები, მოსაწყობია იატაკი, არ არის შეტანილი ინვენტარი: მაგიდა, სკამები, ჭურჭელი
14	საციხური	21 465.7	მოსაწყობია სამზარეულო, ჭერი, არ არის შეტანილი ინვენტარი: მაგიდა, სკამები, ჭურჭელი
15	ავლევი	28 761.6	გასალესია კედლები, მოსაწყობია სამზარეულო, იატაკი, ჭერი, წყლის და გაზის სისტემა
16	ცეროწისი	29 512.7	გასალესია კედლები, მოსაწყობია სამზარეულო, იატაკი, ჭერი, წყლის და გაზის სისტემა

17	სამწევრისი	19 054	გასალესია კედლები, მოსაწყობია სამზარეულო, იატაკი, ჭერი, წყლის და გაზის სისტემა
18	ვედრება	20 962	გასალესია კედლები, მოსაწყობია სამზარეულო, იატაკი, ჭერი, წყლის და გაზის სისტემა
19	ქობესაანთ უბანი	33 670	გასალესია კედლები, მოსაწყობია სამზარეულო, იატაკი, ჭერი, წყლის და გაზის სისტემა
20	სასირეთი	27 199	გასალესია კედლები, მოსაწყობია სამზარეულო, იატაკი, ჭერი, წყლის და გაზის სისტემა
21	ბრეთის მეურნეობა	29 018	გასალესია კედლები, მოსაწყობია სამზარეულო, იატაკი, ჭერი, წყლის და გაზის სისტემა
	სულ	*662 622.2*	

ამდენად, 2015-2016 წლებში ქარელის მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, 21 ერთეული სარიტუალო დარბაზის მშენებლობაზე დახარჯა **662.6 ათასი** ლარი. აღნიშნული სარიტუალო დარბაზები დაუსრულებელია და მოსახლეობა შექმნილი მატერიალური სიკეთით ვერ სარგებლობს.

სურათი №1 სოფ. ღვლევის სარიტუალო დარბაზი

სურათი №2 სოფ. ქვ. შაქშაქეთის სარიტუალო დარბაზი

სურათი №3 სოფ. მოხისის სარიტუალო დარბაზი

სურათი №4 სოფ. ზღუდერის სარიტუალო დარბაზი

რეკომენდაცია: ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აღწეროს დაუსრულებელი და უფუნქციო შენობები (მათ შორის ე.წ. სარიტუალო დარბაზები). შეისწავლოს მათი შემდგომი ექსპლოატაციის საკითხი და საჭიროების მიხედვით განსაზღვროს შენობა-ნაგებობების გამოყენების მიმართულებები. აღნიშნული უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი მატერიალური სიკეთის მოსახლეობისთვის დროულ და ხარისხიან მიწოდებას.

სამანქანე ხიდის მოწყობა

გამოვლენილი გარემოება 2: 2016 წელს მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, სოფელ ყინწვისში მოაწყო სამანქანე ხიდი, რომლის ხარჯმა შეადგინა 7.3 ათასი ლარი. გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. შედეგად გამოვლინდა, რომ ხიდი უფუნქციოა და მოსახლეობა სატრანსპორტო საშუალებების გადასაადგილებლად ვერ იყენებს. აღნიშნულის მიზეზი არის ის გარემოება, რომ ხიდი ერთი მხრიდან დაკავშირებულია საფეხმავლო ბილიკთან, რის გამოც მასზე ავტომანქანების მოძრაობა ვერ ხერხდება.

წყლის სისტემის მოწყობა

გამოვლენილი გარემოება 3: 2015 წელს ქარელის მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, სოფელ დოღლაურში მოაწყო სასმელი წყლის სისტემა ღირებულებით 5.5 ათასი ლარი. გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული წყლის სისტემა არ ფუნქციონირებდა და მოსახლეობას წყალი არ მიეწოდებოდა. აღნიშნულის მიზეზი არის ის გარემოება, რომ არტეზიული ჭა არ არის დარეგისტრირებული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და ელ-ენერგია არ მიეწოდება წყლის ტუმბოს.

2017 წელს, აუდიტის ჯგუფის მიერ გამოვლენილი გარემოების შემდგომ, მუნიციპალიტეტმა უზრუნველყო აღნიშნული პრობლემის მოგვარება და მოსახლეობას მიეწოდება სასმელი წყალი.

აგარის ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია

გამოვლენილი გარემოება 4: 2015 წელს მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან 16.4 ათასი ლარით დაფინანსდა დაბა აგარაში ბიბლიოთეკის ძველი შენობის რეაბილიტაცია. აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა აღნიშნული ობიექტი. შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი დაუსრულებელია. 2016 წელს პროექტის დასასრულებლად თანხა არ გამოყოფილა და არც 2017 წელს დაგეგმილა მისი რეაბილიტაცია.

სურათი №5: დაბა აგარის ბიბლიოთეკა

ამრიგად, 2015-2016 წლებში ქარელის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან“ 691.8 ათასი ლარი დახარჯულია ისეთ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებიც დასრულებული არ არის და მოსახლეობა ვერ სარგებლობს.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტის გამგეობამ ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს, გამგეობამ უნდა შეისწავლოს მის ხელთ არსებული ფინანსური რესურსები. აქედან გამომდინარე განსაზღვროს, თუ რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნულით მუნიციპალიტეტი თავიდან აიცილებს ისეთი პროექტების განხორციელებას, რომლისგანაც მოსახლეობა სარგებელს ვერ მიიღებს.

ავტოსადგურის მოწყობა

გამოვლენილი გარემოება 5: ქარელის მუნიციპალიტეტმა 2016 წელს ავტოსადგურის მოწყობაზე, ადგილობრივი ბიუჯეტით დახარჯა 133.3 ათასი ლარი. ობიექტის მიღება-ჩაბარება მოხდა 2016 წლის დეკემბერში. ხელშეკრულების ფარგლებში მოეწყო სადგურის შენობა და გარე მოვაჭრეებისათვის სავაჭრო დახლები.

აუდიტის ჯგუფის მიერ კვირის განმავლობაში რამდენჯერმე იქნა დათვალიერებული ავტოსადგური. გამოვლინდა, რომ ობიექტი მდებარეობს ქალაქის ცენტრიდან მოშორებით. სადგურის შენობა უფუნქციოა. მიუხედავად იმისა, რომ სამარშრუტო მიკროავტობუსების მცირე ნაწილი ჩერდება ავტოსადგურის მოედანზე, მოსახლეობის აქტივობა არ შეიმჩნევა. სამშენებლო სამუშაოების დასრულებიდან აუდიტის მიმდინარეობის პერიოდამდე, არ მომხდარა გარე მოვაჭრეების მიერ სავაჭრო დახლების გამოყენება.

სურათი №6: ქარელის ავტოსადგური



აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული დამატებითი აუდიტორული პროცედურების შედეგად დადგინდა, რომ მოსახლეობა ძირითადად სარგებლობს ქალაქის ცენტრში არსებული მოსაცდელით, სადაც ჩერდებიან სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებები. მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობს სალარო, სადაც იყიდება სამგზავრო ბილეთები და გამოკრულია ინფორმაცია მარშრუტების შესახებ.

სურათი №7: ქარელში არსებული მგზავრთა მოსაცდელი

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ქ. ქარელის მთავარი ქუჩა არის ძალიან გადატვირთული ავტომანქანებისგან. ცენტრალური ქუჩის განტვირთვის ერთადერთ საშუალებად მიჩნეული იქნა არსებული მოსაცდელისა და ავტოსადგურის რეაბილიტაცია. დამუშავდა პროექტი 2 ეტაპად. პირველ ეტაპზე განხორციელდა ავტოსადგურის და მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება-რეაბილიტაცია. მე-2 ეტაპზე მოხდება მოსაცდელის რეკონსტრუქცია, რომელიც პროექტირების პროცესშია. აღნიშნული პროექტი გულისხმობს მოსაცდელთან სამგზავრო ტრანსპორტის დგომის აკრძალვას და შესაბამისად ავტოსადგურზე მათ გადანაცვლებას. სრული დატვირთვის შემთხვევაში ავტოსადგურის ტერიტორიაზე გადაინაცვლებს გარე მოვაჭრეებიც.

2015 წლის 1 სექტემბრიდან საკრებულოს მიერ მიღებულია დადგენილება ქარელის ტერიტორიაზე გარემოვაჭრეთა რეგულირების წესის შესახებ. თუმცა მოვაჭრეთა ავტოსადგურის ტერიტორიაზე გადანაცვლების საკითხი მოუგვარებელია. გამგეობის წარმომადგენლების განმარტებით, უმოკლეს დროში ამოქმედდება პარკირების ახალი წესები და შესაბამისად სამგზავრო ტრანსპორტი (მათ შორის ტაქსებიც) გადაინაცვლებს ავტოსადგურზე, რაც უზრუნველყოფს სადგურის სრულ დატვირთვას, მათ შორის გარე მოვაჭრეთა საკითხის დარეგულირებას.

შესყიდვის ორგანიზების პროცესის აღწერა

ქარელის მუნიციპალიტეტის მიერ ტენდერის ჩატარების დროს, სატენდერო დოკუმენტაციის პირობებს განსაზღვრავს სატენდერო კომისია. შერჩევა-შეფასების ეტაპზე სატენდერო კომისია იკრიბება და ფასით გამარჯვებული პრეტენდენტის წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს და აფასებს ერთობლივად. კომისიის თითოეული წევრის მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებით ხდება პრეტენდენტების ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება. საბოლოოდ ხდება საოქმო გადაწყვეტილების მიღება.

გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში მიმწოდებლების შერჩევა ხდება შემდეგნაირად: ეკონომიკური განვითარების სამსახური და შესყიდვების განყოფილება

